ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 ივნისი, შაბათი, 1990 წ.
№ 111 (10 280) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA'90

„ე“ ჯგუფი: **ურუგვაი — ესპანეთი 0:0**

„ბ“ ჯგუფი: **არგენტინა — სსრ კავშირი 2:0 (1:0), კამერუნი — რუმინეთი 2:1 (0:0).**

„ა“ ჯგუფი: **იტალია —აშშ 1:0 (1:0)**

„დ“ ჯგუფი: **იუგოსლავია— კოლუმბია 1:0 (0:0)**

ჩაო, იტალია!

არგენტინისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა 13 ივნისის შეხვედრას ნეაპოლის სტადიონზე პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის. ბევრი ახსნა-განმარტება ზედმეტია: პირველ ტურში განცდილმა მარცხმა არგენტინელი და საბჭოთა ფეხბურთელები რთული პრობლემის წინაშე დააყენა. ლობანოვსკიმ რამდენიმე ცვლილება მოახდინა გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ კორესპონდენტებს „დაუმალა“ ის შემადგენლობა, რომელიც მინდორზე გამოვიდოდა და განაცხადა, რომ ყველაფერს უშუალოდ მატჩის წინ შეიტყობთო.

მთავარი მწვრთნელი ასეც მოიქცა: გუნდის შემადგენლობა გაასაიდუმლოა, მაგრამ ამ ცვლილებებს რეალური არაფერი მოჰყოლია, ვინაიდან არსებითად სულ ერთია, ვინ ითამაშებს შალიმოვი თუ ლიტოვჩენკო, ზავაროვი თუ ლიუტი, ზიგმანტოვიჩი თუ ფოკინი, საქმე ისაა, რომ ახლა არც ერთი მათგანი არ არის იმ დონის ფეხბურთელი, რომ კარდინალური ცვლილება მოახდინოს ესოდენ საპასუხისმგებლო მატჩში და თავის სარგებლად გადაწყვიტოს ითამაშის ბედ-იღბალი.

არგენტინელები უფრო ძლიერნი იყვნენ, ამიტომაც გამარჯვებაც მათ დარჩათ.

პირველი ბურთი 27-ე წუთზე გაიტანა პედრო ტროგლიომ, 79-ე წუთზე კი ხორხე ბურუჩაგამ წერტილი დაუსვა გამარჯვებას — 2:0.

ამავე დღეს ფრედ ითამაშეს ურუგვაისა და ესპანეთის ფეხბურთელებმა — 0:0.

მაშ ასე, ფეხბურთის ენაზე, რეალურად თუ ვილაპარაკებთ, საბჭოთა ნაკრებს მერვედფინალში მოხვედრის თეორიული შანსი თუ აქვს შერჩენილი მისი გამოსვლა მსოფლიოს XIV ჩემპიონატზე სრული კრახით დამთავრდა: ორი შეხვედრა, ორი დამარცხება, არც ერთი გატანილი ბურთი, 4 — გაშვებული, მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ გათამაშებათა ისტორიაში, რაც კი საბჭოთა გუნდი აქ გამოდის, შემდგომი ბრძოლის გზა დახშულია უკვე პირველივე ეტაპზე.

ახლა იმის თაობაზე, შემთხვევითი იყო თუ არა საბჭოთა ფეხბურთელთა დამარცხებები ბარისა და ნეაპოლის სტადიონებზე. ჩვენი აზრით, არავითარი შემთხვევითობა აქ არაა, საბჭოთა გუნდი ის არ არის, რომელმაც 1988 წელს წარმატებით ითამაშა ევროპის ჩემპიონატში და თავი გამოიჩინა. იგი შესამჩნევად მობერდა, დაძაბუნდა, მას უბრალოდ, ძალა აღარ შესწევს წინ აღუდგეს არა თუ არგენტინის ძლიერ გუნდს, არამედ რუმინელთა საკმაოდ საშუალო კლასის კოლექტივსაც, ამიტომაც მისთვის მერვედფინალი საოცნებო დარჩა.

ახლა საკავშირო პრესაში ატყდება დავა და პანიკა, შეუდგებიან დამნაშავის ტრადიციულ ძებნას და, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ურემი რომ გადაბრუნდება...

ფაქტები

სურათებზე: არგენტინა —სსრკ მარცხნივ — დიეგო მარადონა (თეთრ მაისურში) და ანდრეი ზიგმანტოვიჩი; მარჯვნივ — სერგეი ალეინიკოვი და პედრო ტროგლიო ბურთისთვის ბრძოლის დროს.

ხაკდეს-ხაჭინფორმის ფოტო.

მეიითვალე, საქართველოვ!

ჩემპიონის ტასტზე ადის თეა ლანჩავა

სინგაპური. დამთავრდა მოზარდთა მსოფლიო ჩემპიონატი ჰადრაკში. 16 წლიან გოგონათა ტურნირში ჩემპიონის სახელი ჩვენმა თანამემამულემ თეა ლანჩავამ დაისაკუთრა. მან 8,5 ქულა დააგროვა. ასეთივე შედეგით დაამთავრა შეჯიბრება დონის როსტოველმა ეკატერინე კოვალევსკაიამ, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით მას მეორე ადგილი და ვიცე-ჩემპიონის ვერცხლის medali ერგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ იუგოსლავიელი ვიოლეტა ტოდოროვიჩი და კალინინგრადელი ანა სეგალი.

ამ ასაკის ბიჭებში 9 ქულით ჩემპიონის ტიტული ლენინგრადელმა კონსტანტინე საკაევმა მოიპოვა.

ჩემპიონები გამოვლინდნენ თვრამეტწლიანთა შორისაც. ჭაბუკებში პირველი ადგილი კრასნოდარელ სერგეი ტივიაკოვს ხვდა — 9,5 ქულა, გოგონებში — რუმინელ მოჭადრაკეს ელენა რატუს — 8,5 ქულა.

ორმოცდამეათე...



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,ხაშურის ფილიალის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე დგებუაძე საქართველოს 1990 წლის ჩემპიონია! ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც [illegible] ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლოსწინა XIV ტურში დგებუაძემ შავი ფიგურებით დაამარცხა კახა ხაბურზანია.

მეტოქეებმა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს . თეთრებმა იჩქარეს და ნაადრევი შეტევა წამოიწყეს. ამით ისარგებლა დგებუაძემ და ტაქტიკური კომბინაციით ძალზე საპირო გამარჯვება მოიპოვა.

ჯერ კიდევ გაურკვეველია II ადგილის ბედი. მისი მოპოვების შესაძლებლობა ერთდროულად ექვს მოჭადრაკეს აქვს. ბოლოსწინა ტურში საინტერესო იყო გია ბაღათუროვისა და გიზო ჭეტლიანის შეხვედრა. ძველინდურ დაცვაში ჭეტლიანმა დებიუტში სიახლე გამოიყენა და ორი პაიკი დაუთმო მეტოქეს, მემდეგ ლაზიერიც შეწირა, მაგრამ ბაღათუროვი ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: შალამბერიძე — სიჭინავა 1:0, ბაშვილი — კუჭუხიძე 1:0, ტაბატაძე — ჰოპოვი 1:0, კაკაბაძე — გოგიჩაიშვილი 0:1, მანგაძე — ხოფერია 0,5:0,5, სუპატაშვილი — კაკალიძე 05:0,5.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: ალექსანდრე დგებუაძე — 10,5, გია ბაღათუროვი — 9, გივი გოგიჩაიშვილი — 8,5, კახა შალამბერიძე, მიხეილ კაკალიძე (ყველა — თბილისი), ნუკრი მანგაძე, შოთა კუჭუხიძე (ორივე — ქუთაისი) — 8-8.

მაშ ასე, ალექსანდრე დგებუაძე საქართველოს ორმოცდამეათე ჩემპიონატის გამარჯვებულია.

ვასილ ვაშაკიძე.

სურათზე: ა. დგებუაძე.

ვუშინ...

გაიმართა სპორტხაზოგადოება „შევარდენის“ საქალაქო საბჭოს IV პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოება „შევარდენის“ წესდების პროექტი.

* * *

ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სახასლეში დასრულდა საქართველოს X სპარტაკიადის მონაწილე ქალ კალათბურთელთა ახალგაზრდობა.

ფინალურ მატჩში თბილისის გუნდმა 91:80 მოუგო ქუთაისის ნაკრებს და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

საქართველო — ორიენტირი!

ახლა შკრაინაში...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან, დამოუკიდებელი არსებობა არჩია და საკუთარ ეროვნულ შეჯიბრებებს მართავს.

ამ საკითხზე საკმაოდ ხანგრძლივი და საფუძვლიანი პოლემიკა მიმდინარეობდა, დავაში გაიმარჯვეს ახლის მიმდევრებმა და საქართველოც დამოუკიდებელი ფეხბურთით ცხოვრობს. შემდგომში ლატვა გამოეყო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას და დამოუკიდებელ შეჯიბრებებს მართავს.

ახლა დღის წესრიგშია უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობა. უკრაინას საკავშირო უმაღლეს ლიგაში 5 ძლიერი გუნდი ჰყავს, რამდენიმე კოლექტივი პირველ ლიგაშია და საკმაოდ მოზრდილი რაოდენობაც — მეორე ლიგაში. ასე რომ, უკრაინა თავისებური ძლიერი საფეხბურთო ქვეყანაა და თუ უკრაინელებმაც დამოუკიდებელი საფეხბურთო გზით სიარული არჩიეს, ეს იქნება დიდი შემწეობა დ მხარდაჭერა, უპირველეს ყოვლისა, ქართული და მერე — ლიტვის ფეხბურთის მიმართ.

როგორც „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და განსაკუთრებით „სპორტივნაია გაზეტა“ აქტიურად განიხილავენ უკრაინის დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის გამართვის პრობლემას, ეტყობა, უკრაინის გუნდები მთლიანად გამოეთიშებიან ყველა საკავშირო ლიგას.

ამის თაობაზე საგანგებო განცხადებით გამოვიდა უკრაინის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა ჯგუფი, უკრაინელები აცხადებენ, რომ ვინაიდან უკრაინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოუკიდებელი წევრია, მას შესაძლებლობა მიეცემა დამოუკიდებლად შევიდეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში.

უკრაინის ყველა საოლქო საფეხბურთო ფედერაციას დაუგზავნეს მიმართვა, რაცა თავიანთი შეხედულებები გამოთქვან რესპუბლიკის დამოუკიდებელი ჩემპიონატის გამართვის თაობაზე. ამ რეფერენდუმის შედეგად მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას უკრაინის საფეხბურთო ფედერაციის საკავშირო ფედერაციიდან გამოსვლის თაობაზე.

იქნება ახალი რეკორდი?

თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა მესამე ადგილი დაიკავა ძმებ ზნამენსკების მემორიალში, რომელიც ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირების ცხრილში („გრან პრი“) შედის. მოსკოვში იგი ათკილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდა და მანძილი 28 წუთსა და 27,83 წამში გაირბინა. მასზე უკეთესი შედეგები აჩვენეს სერგეი სმირნოვმა (28.26,03) და კორეელმა ლი ოკ ჰენმა (28.26,86).

მართალია, ოლეგ სტრიჟაკოვს აღნიშნულ დროზე 6 წამით უკეთესი შედეგი აქვს (რომელიც საქართველოს რეკორდიც არის), მაგრამ უკვე რამდენიმე წელია იგი თავის საუკეთესო მიღწევასთან ახლოსაც ვერ მივიდა. ახლა კი, ისეთი პირი უჩანს, ახალ რეკორდს უნდა ველოდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსნური გაზაფხულის ეპილოგი

ოჩამჩირეში მაისის მიწურულს ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში იუნიორთა და ჭაბუკთა შორის.

საქართველოს საცხენოსნო სპორტი თავისთავად ახალგაზრდულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს „ახალგაზრდულობა“ მოკლებულია იმ ოპტიმისტურ შინაარსს, რაც შეიძლება ამ ფაქტის აღნიშვნას სხვა სახეობებისთვის ჰქონდეს: უბრალოდ — ახალგაზრდობიდან ბევრი აღარ შერჩება ხოლმე ცხენოსნობას, ყოველ შემთხვევაში, აქტიურ სპორტს. ზერელედაც რომ შევადაროთ საერთაშორისო ასპარეზობის მონაწილეთა, გამარჯვებულთა და, ვთქვათ, ჩვენი რესპუბლიკური ჩემპიონატების პრიზიორთა ასაკი, ვნახავთ, რომ ცხენოსანთა „გაახალგაზრდავებაში“ უკან ჩამოგვეტოვებია ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნები. მაგრამ, ვიმეორებ, სინამდვილეში ეს მხოლოდ ამ სახეობაში ღრმა, სერიოზული მუშაობისათვის ზოგი არსებითი პირობის არარსებობას, სოციალურ მოუწესრიგებლობას მეტყველებს და არა მაინცდამაინც ახალგაზრდობაზე „გადაყოლასა“ და ყოველმხრივ ზრუნვას.

ეგებ არც ღირდა ჭაბუკთა ჩემპიონატის მიმოხილვის ასე „ბებრული“ წუწუნით დაწყება. მაგრამ ამ შეჯიბრების ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ისაა, რომ ახალგაზრდობა ახალი, უფრო მაღალი ამოცანების დასაძლევად განაწყოს, მხოლოდ ჭაბუკური ხალისის, ენერგიის, თუნდაც მოცალეობის იმედად არ დატოვოს და იმ ასაკში არ ააღებინოს ხელი საყვარელ სახეობაზე, როცა გამოცდილება, ნებისყოფა, ოსტატობა სერიოზული მიღწევების მყარ საფუძველს შეუქმნის.

სამივე სახეობაში (გაწვრთნილობა, დაბრკოლებათა გადალახვა, სამჭიდი) სრული სახით წარმოდგენილი გუნდები მხოლოდ ოჩამჩირეს, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ საცხენოსნო სკოლასა და რესპუბლიკის სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზას ჰყავდა. ზუგდიდის გუნდს აკლდა 1 სამჭიდელი, სხვები — გულრიფში, ჩოხატაური, სენაკი, წალენჯიხა, გალი ცალკეული სპორტსმენებით იყვნენ წარმოდგენილი.

გაწვრთნილობაში გათამაშდა „საუალო პრიზი“ (№1 და №2). ორივე სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ირინა კოზინამ, მაგრამ იგი გამოდიოდა ქუთაისის საცხენოსნო კლუბის ცხენით. ოჩამჩირის გუნდის სამართლიანი პროტესტის შედეგად, მისი შედეგი გაუქმდა. ამ სახეობაში I გუნდური ადგილი მაინც თბილისელებს დარჩათ. II შედეგი მათივე გუნდის წევრს იზაბელა ბაღდასაროვას ჰქონდა (ოჩამჩირემაც და სკოლამაც თითო მხედრის გამოყვანა შეძლეს). ჩათვლაში კი ორიდან ერთი მონაწილის შედეგი შედიოდა. III ადგილი დაიკავა ლია თარხნიშვილმა (ფორვარდი). გუნდურ ჩათვლაში თბილისის სკოლა და ოჩამჩირე მიჰყვნენ.

ვარკვეული რანგის შეჯიბრებაზე, წინასწარი შეთანხმებით ნებადართულია ერთი გუნდის ცხენით სხვა გუნდის (ამავე დროს ნაკრების) წევრის გამოსვლა. მაგრამ ამჯერად რა მიზნებს ისახავდა, ან რით იყო გამოწვეული, თბილისის გუნდის ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი გაუგებარი და უკანონო „შეწყვილება“, ნამდვილად ძნელი ასახსნელია. გუნდი კი დაისაჯა. კოზინას პირადი ქულებიც „რომ“ მომატებოდათ, ე. ი. თავისი ცხენით რომ წარმატებით გამოსულიყო (არადა, ამისი შანსი იყო), საერთო I ადგილი ბაზას დარჩებოდა!

დაბრკოლებათა გადალახვაში გახსნის პრიზზე (სიმაღლე 110-120 სმ) პირველობა მოიპოვა 14 წლის ოჩამჩირელმა მეორეთანრიგოსანმა მამუკა მირიანაშვილმა (ცხენი — ფასადი); მეორეც ოჩამჩირელი ჯონი მარხულია იყო (ფურტი), III — ზუგდიდელი ბადრი ანთია (ობრუჩი). რესპუბლიკის ახლანდელი უძლიერესი ცხენ-მხედარი ანჩაბაძე-რაზბორი ამ დღესვე გამოეთიშა მთელ შეჯიბრებას — ცხენს ფეხი დაეჭიმა და გალის „გუნდი“, საერთოდ, „მშრალზე“ დარჩა.

დაბრკოლების ესტაფეტურ გადალახვაში („კარუსელი“) პირველობა მოიპოვა შერეულმა წყვილმა — წალენჯიხელმა პაატა კვარაცხელიამ (ავანსი) და ჩოხატაურელმა ზურაბ ბერძენიშვილმა (გეპარდი); მეორე ადგილი დაიკავეს ოსტატობის კანდიდატებმა ალექსანდრე ჭელიძემ და ნოდარ სიფრაშვილმა (საცხენოსნო სკოლა). III — სპორტსახკომის ბაზის წარმომადგენლებმა — სპორტის ოსტატმა ზაზა გონჯილაშვილმა (გრაფიკი) და ხვიჩა პანანელიშვილმა (ქსარი). გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა სკოლას, II — ბაზას, III — ოჩამჩირეს (მერაბ სამუშია, ჯონი მარხულია).

„იუნიორთა თასი“ (ორ ჰიტად, 130-140 სმ) მოიგო მარხულიამ, II და III ადგილები დაიკავეს ალექსანდრე ბაკრაძემ (გესი) და გიორგი ბინძავამ (სალუტი) დაიკავეს და საცხენოსნო სკოლას ოჩამჩირისა და თბილისის ბაზის შემდეგ III გუნდური ადგილი მოაპოვებინეს.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I — ოჩამჩირე — 371,5 ქულა (უფროსი მწვრთნელი — ოთარ ნარმანია, მწვრთნელები — თამაზ ჯღარკავა, გია ქვაჩახია), II — საცხენოსნო სკოლა —354,5 ქულა (მწვრთნელები — ლევან ჯიმკარიანი, ვიქტორ გოგლიძე, რევაზ მესტვირიშვილი), III — სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზა — 332 ქულა (უფროსი მწვრთნელი — კირიაკ გამიბაიაზოვი, მწვრთნელები— იუნონა კოკინა, ვალერი შელია).

წლევანდელი ცხენოსნური გაზაფხული საკმაოდ დატვირთული იყო. თავად განსაჯეთ: მარტიდან მოყოლებული — ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფინალი (სამივე — კლასიკურ სახეობაში), თბილისის და შემდეგ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატები დაბრკოლებათა გადალახვაში, და მაისის მიწურულს კი — ზემოაღნიშნული შეჯიბრება.

ახლა ოქტომბრამდე კლასიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრება აღარ გველის. ოქტომბერში დაგეგმილია საქართველოს ღია ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. რა გეგმები აქვთ ჩვენს ცხენოსნებს ზაფხულის თვეებში, როგორ გაანალიზდება და განზოგადდება საგაზაფხულო ინტენსიური სეზონი — ეს ყველაფერი ძალზე აინტერესებთ ამ სახეობის გულშემატკივრებს, რომლებიც, მადლობა ღმერთს, ახლა უკვე არც ისე ცოტანი არიან.

ნოდარ ებრალიძე.
„ლელოს“ სპეც. კორ.
ოჩამჩირე.

ქალები ფეხბურთს ალამაზებენ

ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის აღიარების გზაზეა. საერთაშორისო ურთიერთობების ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საამისოდ კი ჩვენი ფედერაცია (პრეზიდენტი ნ. ახალკაცი) არც ერთ, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან.

ხუთ სამი დღით საქართველოში, ტურისტული საგზურით, სტუმრად ჩამოვიდა ამერიკის ქალაქ ოლბანის ფეხბურთელ გოგონათა გუნდი მასაჩუსეტსის შტატიდან. ჩვენმა ფედერაციამ სტუმრებს შესთავაზა ორი მატჩი „ივერიის“ ფეხბურთელებთან. ერთი თბილისში, მეორე — ხობში.

„ივერია“ საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს გუნდია (მწვრთნელი ა. ტალახაძე). ეს სამინისტრო პროფკავშირების დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტთან და ფედერაციასთან ერთად, თავის მხრივ, მზრუნველობას არ აკლებს ფეხბურთელ გოგონებს, მეტიც, ისინი მისაბაძ მაგალითს იძლევიან.

ამერიკელი და ქართველი ფეხბურთელი გოგონების სპორტული მეგობრობა დაიწყო. ამ მეგობრობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა ფ. მენაღარიშვილმა სამინისტროში ორივე გუნდისა და მათი ხელმძღვანელების მიღებისას. სტუმართა გუნდის დელეგაციიდან მწვრთნელმა თორი რედერმა, ორგანიზატორმა ერასტუს ქორნინგმა მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და იმედი გამოთქვეს, რომ ასეთი კონტაქტები მომავალში უფრო გაღრმავდება.

რამდენიმე სიტყვა ამერიკელთა გუნდზე. იგი 1975 წელს შეიქმნა, არის დასავლეთ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წევრი, რომელიც 32 გუნდს აერთიანებს. 9 მოგება, 4 წაგება, 1 ფრე და VI ადგილი— ჯერჯერობით ასეთია მიმდინარე სეზონში ჩვენი სტუმრების შედეგი ლიგაში. ორი წლის წინ გუნდი ლიგის ჩემპიონი გახდა, მანამდე, ერთი წლით ადრე კი მეორე იყო. ჩვენი გუნდის შესახებ ბევრჯერ დაგვიწერია და თავს არ შეგაწყენთ.

ახლა სიტყვას გადავცემთ ჩვენს კორესპონდენტს თამუნა ჯიშკარიანს. იგი გვიამბობს პირველი მატჩის შესახებ, რომელიც 14 ივნისს გაიმართა თბილისში ეროვნულ სტადიონზე.

შეხვედრის ორგანიზატორების განზრახვით მატჩის შემოსავალი უნდა გადარიცხულიყო მერაბ კოსტავას ფონდში, მაგრამ, სამწუხაროდ, ოთხმოციათასიანი სტადიონი, ფაქტიურად ცარიელი იყო.

მიუხედავად ამისა, თამაში საინტერესოდ წარიმართა. ამერიკელმა ფეხბურთელებმა მოთელვას 40 წუთი მოანდომეს, მაგრამ ეტყობა ზედმეტი მოუვიდათ — პირველ ტაიმში დაღლილები და მოთენთილები გამოიყურებოდნენ. თბილისელი გოგონები კი ფრთხილობდნენ, რაც არ უნდა იყოს, ამერიკელთა გამოცდილ გუნდს ეთამაშებოდნენ. პირველი ტაიმი არც თუ ისე საინტერესო გამოდგა. მეტოქეებს გოლი არ გაუტანიათ.

მეორე ნახევარი თბილ წვიმასთან ერთად დაიწყო. ამან რატომღაც უფრო გამოაცოცხლა თამაში. განსაკუთრებით თბილისელები გააქტიურდნენ და შეხვედრის 49-ე წუთზე შორი მანძილიდან ულამაზესი დარტყმით ივერიელმა ნანა გელბახიანმა გახსნა ანგარიში — 1:0. ამის შემდეგ მასპინძლები მთლიანად დაეუფლნენ სიტუაციას, ოლბანელთა კარს სახიფათოდ უტევდნენ სალაძე, ორჯონიკიძე, კაკაურიძე, თუმცა ანგარიშს გაზრდა ივერიელებმა ვერ შესძლეს.

თამაშის შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ამერიკელთა 42-ე ნომერს ბენაჭ როჩარდსონს და ივერიელ ნანა გელბახიანს.



ხურათზე: ხარბიელზე არიან საქართველოსა და აშშ-ის ფეხბურთელი ქალები. ა. კოტორაშვილის ფოტო.

● **რისი თქმა შეგიძლიათ დღევანდელ მატჩზე?**

— **ბ. რ.** — მოუთმენლად ველოდით „ივერიასთან“ შეხვედრას, გაგონილი გვქონდა თქვენს გუნდზე და გვაინტერესებდა ძალები მოგვესინჯა. ძალიან გაგვიჭირდა, თქვენი გოგონები კარგად თამაშობენ.

— **ნ. ბ.** — დასაწყისში გვეშინოდა, ამერიკელებს საკმაოდ აქვთ გაშოცდილება, მაშინ, როცა ჩვენ სულ რამდენიმე წელია ვთამაშობთ, თანაც, არც სპორტული ბაზა გაგვაჩნია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშეთ.

● **რას ნიშნავს თქვენი ქვეყნისათვის ქალთა ფეხბურთი?**

— **ბ. რ.** — თავდაპირველად ბევრი გვეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არ დავთმეთ, ბოლო ხანს გუნდი თითქმის განახლდა, ახლა ჩვენ 15 წლისანები ვართ.

— **ნ. ბ.** — ბევრს გვაკრიტიკებენ, ფეხბურთი ქალის საქმე არ არისო, მაგრამ არც ასეა საქმე, დრო გადის და ჩვენც ვეჩვევით ქალთა ფეხბურთს. ვვარჯიშობთ და ძალებს არ ვზოგავთ. გვჯერა სულ მალე საქართველოში ქალთა ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთ წამყვან სახეობად გადაიქცევა.

ახლა კი გუნდების შემადგენლობას გაგაცნობთ:

ოლბანი: **კამუსო, კაროლი, ანდრეხი, ევანსი, ფაიერვერზერი, ფუნეხი, გუდი, ჯერეხი, კურსი, მილეტონი, ჰერინსი, რეილი, რიჩარდსონი, სკორტენ-სოლიფი, სტავერსონი, თოული.**

„ივერია“: მერაბიშვილი, შეშაბერიძე, კანტეხკია, ამზოევა, კოლელიშვილი, სალაძე, მერაბიშვილი, გელბახიანი, ორჯონიკიძე, შუბითიძე, მჭედლიშვილი, მაჭარაშვილი, კაკაურიძე, მინდიაშვილი, ლაბუჩიძე, დენისუკი, კაპანაძე, დილანიანი.

აკაკი ფიზიკური აღზრდის შესახებ

(პოეტის დაბადების 150 წლისთავისათვის)

გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდა-განვითარებას. მართალია, მას ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ სპეციალური შრომა არ დაუწერია და არც საზოგადოებაში გამოუჩენია თავი როგორც სპორტსმენს, მაგრამ კერძო წერილებითა და თანამედროვეებთან ალმზრდელობითი საუბრებით თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ფიზიკური აღზრდის პოპულარიზაციაში.

აკაკის აზრით, უპირველესი მოთხოვნილება ეს არის ჯანსაღი, ამტანიანი ბავშვის აღზრდა. იგი აუცილებლად უნდა იზრდებოდეს ბუნების წიაღში, „მინდვრად ცისა და მიწის შუა“ ისე, როგორც თვითონ პატარა აკაკი იზრდებოდა სოფელ სავანეში გლეხის ბავშვებთან ერთად. აკაკი უპირატესობას სოფელში აღზრდას ანიჭებდა და სამართლიანად წერდა: „ქალაქში აღზრდის უბედურება ბედმა თავიდან ამაცილინა, მე ექვსი-შვიდი წლისა ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი“.

პოეტი იწონებდა მოზარდის მიერ ამა თუ იმ სათამაშოს საკუთარი ხელით დამზადებას, რაც სოფლის პირობებში უფრო იოლია.

„...აბა წარმოიდგინეთ სოფელი ბავშვი, რომელსაც თავისი ხელით გაკეთებული ბურთი უჭირავს და თავისუფლად გაჭკრავს-გამოჭკრავს ხოლმე ხტუნვითა და სარბილით, და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამობმული ბუტშის ბურთი და შიშით ველარ ინძრევა, არ გამიფრინდესო“.

აკაკი აფასებდა ქართველ მოჭიდავეებს და როგორც მცხეთელი ფალავანი სანდრო კანდელაკი იგონებდა, პოეტს სახალხოდ შეუქია კულა გლდანელი და რჩევა მიუცია, შენი ჭიდაობით აღტაცებული ვარ, მაგრამ ეს არ კმარა, ახალგაზრდა ფალავნებიც უნდა აღზარდოო.

საგურამოში ილიაობა დღეს აკაკი მასპინძელ ილიასთან ერთად ესწრებოდა ქართულ ჭიდაობას და ვინ მოთვლის, რამდენ გამარჯვებულს უძღვნა საქებარი სიტყვები, ჭიდაობის პროცესი ნათელი ფერებით დაგვიხატა აკაკიმ თავის „ბაში-აჩუკში“.

1897 წელს აკაკი ესტუმრა კახეთს. ცნობილმა მომღერალმა ლადო აღნიაშვილმა პოეტი მშობლიურ სოფელ შილდაში მიიწვია.

პოემა სიამოვნებით მოისმინა შილდელი გლეხების ხმაშეწყობილი სიმღერა, მოიწონა მათი ცეკვა, მაგრამ მასზე წაუწულელი შთაბეჭდილება დატოვა სპორტულმა სანახაობებმა: ქართულმა ჭიდაობამ და თოფის მიზანში სროლამ. როცა სროლაში თავი ისახელა ქართველმა გოგონამ სალომე ასათიანმა, პოეტმა თავისთან მიიხმო, მიულოცა გამარჯვება და მამაშვილურად შუბლზე აკოცა.

აკაკის დროს სპორტული აღზრდა მხოლოდ არისტოკრატიის წარმომადგენელთა ბავშვებისათვის იყო მისაწვდომი, გულისხმიერი პოეტი კი საერთოდ, წოდებრიობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

მართალია, პოეტი „გიმნასტიკას“ მხოლოდ ტანჯვად, „ბავშვის სხეულის ჯორჯვად“ მიიჩნევდა, რადგან პიროვნებას, წინააღმდეგ საკუთარი სურვილისა, სხვისი ბრძანებით უნდა ემოქმედა, მაგრამ უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იმხანად დაბალი ტექნიკის პირობებში, ამგვარი ვარჯიში ნაკლებად ეფექტური იყო.

აკაკი გათვითცნობიერებული იყო ქართული სპორტული თამაშების მნიშვნელობაში და სამართლიანადაც წერდა:... „ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არცერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს“.

პოეტი სპორტულ თამაშთა შორის უპირატესობას ანიჭებდა ბურთის თამაშს და წერდა: „აბა რომელი გიმნასტიკა შეედრება მას? ბურთის დროს თვალი, ფეხი, ხელი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“.

აკაკის მოსაზრებით, მოზარდებს მალე ბეზრდებათ ერთი და იგივე თამაშობანი, ამიტომ საჭიროა, ყურადღება მიექცეს თამაშთა მიმართ ბავშვთა შემოქმედებით დამოკიდებულებას, ახალ-ახალ გონივრულ თამაშთა გამოგონებას მოზარდების მიერ.

სულმნათი პოეტის მოსაზრებებს, მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის შესახებ, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

შალვა მარკოზაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲡᲐᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის VII სხდომა. აღსანიშნავია, რომ სამივე ჯგუფში თითქმის ყველა ტურის შემდეგ დარღვევები საგრძნობლად მატულობს, რაც ხელს უშლის ეროვნული ჩემპიონატის ნორმალურად მსვლელობას.

საჩხერეში XII ტურის მატჩში ადგილობრივი „ჩიხურა“ ახმეტის „ბახტრიონს“ მასპინძლობდა, აუტსაიდერთა ეს შეხვედრა საჩხერელთა გამარჯვებით — 3:2 დამთავრდა. მატჩს სჯიდა ზუგდიდელი ს. კვარაცხელია. შეხვედრის კომისრის აზრით, არბიტრმა მთელი 90 წუთი კარგად ჩაატარა, მაგრამ მაყურებელი სხვა აზრის აღმოჩნდა. მაშინ, როცა „ჩიხურას“ კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, ვაგულშემატკივართა ერთმა ნაწილმა შეაღწია მინდორზე და უშვერი სიტყვებით მიმართა არბიტრებს. 11-მეტრიანი „ბახტრიონის“ ფეხბურთელებმა კარგად გამოიყენეს. შემდეგ „ჩიხურას“ მოთამაშეებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ არც ამის შემდეგ დამცხრალა მაყურებელთა ერთი ნაწილი. ეს მატჩი ხულიგნური გამოხტომების შედეგად სამჯერ შეჩერდა. მაყურებლებს. ფეხბურთელებიც აჰყვნენ, რის შემდეგაც მინდვრიდან გააძევეს საჩხერელები ბ. ალავიძე და კ. ხვედელიძე. სადისციპლინო კომისიამ საჩხერის სტადიონს ოთხი თამაშით გამოუტანა დისკვალიფიკაცია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გუნდი აუსტაიდერთა რიგებშია და ოთხი მატჩი „ვარეთ“ უნდა ჩაატაროს, „ჩიხურა“ ზონის დატოვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად იქცა. კომისიამ ასევე 2 თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა ბ. ალავიძეს და 10 მატჩით კ. ხვედელიძეს, კლუბი დააჯარიმეს 2.500 მანეთით.

მატჩი „ბახტრიონთან“ კი ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშდება.

ლანჩხუთის „გურია“ 1 ივნისს ასევე XII ტურში ბათუმის „ბათუმს“ ხვდებოდა. მატჩის კომისარმა და შეხვედრის მსაჯებმა განაცხადეს, რომ ლიდერთა ეს მატჩი საინტერესოდ და კორექტულად წარიმართა, სტადიონზეც მთელი შეხვედრის მანძილზე სრული წესრიგი სუფევდა, მაგრამ მატჩის დამთავრების შემდეგ მსაჯთა გასახდელში შეაღწია ვილაც გულშემატკივარმა და უშვერი სიტყვებით მიმართა მსაჯებს. სტადიონის დირექცია და, ასევე, კლუბი მკაცრად გაიფრთხილეს. მსგავს შემთხვევაში სადისციპლინო კომისია უფრო მკაცრ ზომებს მიმართავს.

— II ჯგუფის გუნდების — რუსთავის „რუსთავის“ და მარნეულის „ალგეთის“ შეხვედრაში (ამ მატჩს დ. რეხვიაშვილი სჯიდა), რუსთავის გუნდის მწვრთნელმა ბ. გვენცაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის არბიტრს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აზრით, რუსთავის სპორტკომიტეტმა სათანადო რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს მწვრთნელის ეს უკადრისი საქციელი.

თბილისის „იმედის“ მოთამაშე მ. მდივანიშვილი არასპორტული საქციელისათვის დისკვალიფიცირებულია 10 კალენდარული მატჩით.

ქარელის „იბერიისა“ და ამბროლაურის „რაჭის“ შეხვედრის დროს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მინდვრიდან გააძევეს ქარელელი კ. ქუმარიტოვი, რომელიც 15 მატჩს გამოტოვებს, ხოლო კლუბმა ის 200 მანეთით დააჯარიმა.

ერთ კალენდარულ მატჩს გამოტოვებს თბილისის „მიონის“ ფეხბურთელი ვ. ჯოლოკავა. ეს სასჯელი მან მსაჯთან კამათისთვის დაიმსახურა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

I Ჯ�გᲣᲤᲘ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.:

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:3, „არაგვი“ (დუშეთი) — „შუქურა“ (ქობულეთი) — 3:1, „სიხარული-90“ (გაგრა) — „იმერეთი“ (ხონი) 3:0, „სულორი“ (ვანი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:2, „სქური“ (წალენჯიხა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:2, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 4:2, „სიონი“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1.

ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	12	10	0	2	28-13	30
„ალაზანი“ (გურჯაანი)	12	9	2	1	22-8	29
„სიხარული-90“ (გაგრა)	12	7	3	2	25-9	24
„სიონი“ (ბოლნისი)	12	7	2	3	21-13	23
„სულორი“ (ვანი)	12	7	2	3	16-11	23
„არაგვი“ (დუშეთი)	12	6	3	3	17-11	21
„იმერეთი“ (ხონი)	12	6	1	5	14-16	19
ფიზკ. ინსტ.	12	5	2	5	12-16	17
„სქური“ (წალენჯიხა)	11	4	2	5	17-16	14
„კახეთი“ (თელავი)	10	4	2	4	13-12	14
„არმაზი“ (მცხეთა)	11	4	2	5	14-19	14
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	12	4	2	6	13-21	14
„შუქურა“ (ქობულეთი)	12	3	4	5	15-18	13
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	11	4	0	7	15-14	12
ხტუ	12	4	0	8	19-27	12
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	12	3	3	6	15-24	12
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	12	2	6	4	12-13	12
„ჩიხურა“ (საჩხერე)	11	3	0	8	11-24	9
„დურუჯი“ (ყვარელი)	12	2	3	7	8-15	9
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	12	2	3	7	11-17	9

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲨᲐᲢᲘᲐᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კინოთეატრების ეკრანებზე გამოვიდა კინორეჟისორ ალექსანდრე ჟღენტის ახალი დოკუმენტური ფილმი „პირველი ეროვნული“, რომელიც საქართველოს ფეხბურთის პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის დღესასწაულს ასახავს.

ამ ფილმმა ერთგვარად შეკრა ქართული ფეხბურთის თემაზე შექმნილი სურათების ათწლიანი ციკლი, რომელსაც საფუძველი დაუდო საქართველოს ტელეფილმების სტუდიაში გადაღებულმა „სტადიონმა“ (1980 წ.). ციკლში გაერთიანდა ბ. ჟღენტის სურათები „გურია! გურია! გურია!“ (1984 წ.), „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ (1987 წ.), „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში?“ და აი — „პირველი ეროვნულიც“. შეიქმნა ქართული ფეხბურთის მატიანე, რომელშიც, როგორც სარკეში, აირეკლა მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორია.

მკითხველებს ალბათ ახსოვთ ის დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი, რომელიც გამოიწვია გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ა. ჟღენტის წერილმა „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“, რომელშიც ავტორმა ეროვნული პირველობის ჩატარების იდეა წამოაყენა. ვიდრე საკავშირო პირველობის მოწინააღმდეგენი და მომხრენი პრესის ფურცლებზე დაობდნენ, ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში?“. გავიდა რამდენიმე თვე და იდეამ ხორცი შეისხა— 1990 წლის 30 მარტს საქართველოს ეროვნულ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ბუნებრივია, რომ კინოსტუდია „მემატიანის“ მესვეურებმა ამ დღესასწაულის ფირზე აღბეჭდვა იდეის ავტორს — ალექსანდრე ჟღენტს სთხოვეს. უნდა აღინიშნოს, რომ კინოსტუდია „მემატიანე“ (ბევრი სხვა დაწესებულებისაგან განსხვავებით), ეროვნულ მოძრაობას უდგას მხარში.

ფილმი „პირველი ეროვნული“ უაღრესად საპირო და პატრიოტული ნაწარმოებია, რაშიც მაყურებელი თავად დარწმუნდება, როდესაც იხილავს მას.

Ზ. ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კადრები ფილმიდან „პირველი ეროვნული“

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲥᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲗᲑᲘᲚᲥᲐᲚᲐᲥᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ აპარატის მუშაკებმა წამოაყენეს წინადადება საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. ამ თანხლობას მხარს უჭერს „საქაგრომშენის“ № 4 ტრესტის (ქ. გურჯაანი) აპარატის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და ვალდებულებას იღებს: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისათვის მისი მატერიალური ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის და ბავშვთა ფეხბურთის აღორძინებისათვის, ტრესტის თითოეული თანამშრომელი ნებაყოფლობით საწყისებზე ყოველთვიურად ხელფასიდან გაიღებს 50 კაპიკს და საერთო თანხას (20 მანეთი) საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე გადარიცხავენ. ამასთან, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციას მხარი დაუჭირონ ამ წინადადებას.

Თ. ᲨᲐᲒᲒᲣᲚᲘᲫᲔ,
Ლ. ᲑᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Ზ. ᲥᲐᲡᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციასთან ტრესტ № 4-ის კავშირ-ურთიერთობის ჯგუფის წევრები.

* * *

„ლელოს“ რედაქცია იწონებს გურჯაანელთა თაოსნობას და ყველას, ვისაც სურს ფინანსურად მხარში ამოუდგეს ქართულ ფეხბურთს, ვაცნობებთ საბანკო ანგარიშის ნომერს: 000609895 ბინსოცბანკის რესპუბლიკური საოპერაციო სამმართველო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ! ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ!

ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, რომლის გამოისობითაც იძულებული ვართ მოგმართოთ და აღშფოთებას ვერა და ვერ ვფარავთ, არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. საქმე ეხება თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა ყოვლად შეუფერებელ, უმგვან „საქციელს“ ბათუმის „ბათუმთან“ მატჩის დროს.

მოვითხოვთ, რომ თბილისელ ფეხბურთელს თ. ქეცბაიას საერთოდ თუ არა, სეზონის ბოლომდე მაინც აუცილებლად მიეცეს დისკვალიფიკაცია. დაგმობასა და სასჯელს იმსახურებს კ. ცხადაძის, ს. ჭედიასა და სხვათა „ვაჟკაცობაც“.

მიგვაჩნია ისიც, რომ აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და გამკაცრდეს მსაჯობა, ბოლო უნდა მოეღოს მსაჯებთან კოლექტიურ დავას და ყოველად უმსგავს მოქმედებას თამაშის დროს.

ეროვნული ჩემპიონატის ზურგში ლახვარის ჩაცემის უფლებას ვერავის ვერ მივცემთ!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ: ზურაბ გბაუნია, ოთარ ციგროაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, დავით ნოდია.

* * *

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: გუშინ გაზეთ „ქართულ ფეხბურთში“ გამოქვეყნდა თემურ ქეცბაიას, კახი ცხადაძისა და კახი კაჭარავას წერილი, სადაც ისინი ინანიებენ ბათუმში ჩადენილ საქციელს. „ლელო“ უერთდება „ქართული ფეხბურთის“ პოზიციას, მისი რედაქციის ჰუმანიზმის პრინციპებს და ჩვენც თავს ვოკავებთ კომენტარისაგან.

I ᲚᲘᲒᲐ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲡᲝᲮᲣᲛᲘ) — „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔ) 0:1 (0:0).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: ოვჩინიკოვი, ბონდარუკი, დობაშინი, თარბა, სიბიტოვი, ენიკი, კვარაცხელია (გუბაზი), ახვლედიანი, ხმირნოვი, ჩალიგავა (ტუნკინი), ხაგბა.

„ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“: მოისეევი, ბაშაროვი, ვერნიდუბი, დუდნიკი, სოროკალეტი, ნაკონეჩნი, კორნიეცი, სტორჩაკი (ნაიდოვსკი), ვოლგინი (ტკაჩუკი), ბონდარენკო, ზაეცი (ნეფედოვი).

მსაჯი: ა. რუმიანცევი (ლენინგრადი).

გაფრთხილეს: ტორჩაკი, ტკაჩუკი.

ეს იყო პრინციპული მატჩი, რადგანაც ამ დღეს სოხუმელთა მოწინააღმდეგე პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერი გამოდიოდა, სადაც გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ. სოხუმელებმა სუსტად ჩაატარეს შეხვედრა და დამარცხდნენ. ბურთი მასპინძელთა კარში 50-ე წუთზე ვოლგინმა გაიტანა. დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გაქვითვის რამდენიმე შესაძლებლობა და ზედიზედ მესამე მარცხი განიცადეს.

ᲗᲔᲜᲖᲘᲜ ᲑᲐᲕᲐᲙᲝᲠᲘᲐ.
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠᲠ.

ᲡᲮᲕᲐ შეხვედრათა შედეგები: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ლოკომოტივი“ (გორკი) 3:1, „ტირასი“ (ტირასპოლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი)— „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კუზბასი“ (კემეროვი) 2:1, „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „ფაზთაქორი“ (ტაშკენტი) 3:4, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კირატი“ (ალმა-ათა) 2:1, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:2.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA'90

ჩაო, იტალია!

(დასასრული)

მერე ეძებენ და არკვევენ რომ, თურმე, არც გზა ვარგოდა, არც ურემი და არც... შეურმე. განა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყების წინ არ ჩანდა, რომ საკავშირო ნაკრებს აკლდა ახალი ძალები, ახალი სისხლი, ახალი ენერგია? ვ. ლობანოვსკი, რომლის ძირითადი სამუშაო კიევის „დინამოში“ გახლავთ ერიდება გაბედულ სასლექციო ძიებას, ჯიუტად ებღაუჭება თავისი კლუბის ფეხბურთელებს, აკა-იქ თუ გამოცდის ხოლმე ვიღაც სხვა მოთამაშეს. მაგრამ ამას აკეთებს რაღაც წინასწარი უნდობლობით და შიშით.

ან ვინ უნდა შეერჩია? ჩერენკოვი? კოლივანოვი? ბროშინი? ფოკინი? როდიონოვი? ეს ხომ იგივეა, წყალი რომ ფუღუროდან ფუტურაში გადაასხა. მაღალი კლასის ფეხბურთელები საკავშირო ნაკრებს ახლა არ გააჩნია, რაც მინდორზეა — სულ ეგ არის!

საბჭოთა გუნდის თამაშში არ იგრძნობა არავითარ სიახლე, ხალისი, ორიგინალობა, ისეთი ნოვაციები, მეტოქე რომ გამოუვალი მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდეს. თამაში მიმდინარეობს ტრაფარეტულად, ერთფეროვანი შაბლონის სქემით, მეტოქემ უკვე იცის როდის და რა მოიმოქმედოს და ის თითებზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტებიც, რომლებიც მოწინააღმდეგის კართან იქმნება, გამოუყენებელი რჩება. დაუმატეთ ამას წესრიგის დარღვევებიც. არგენტინელებთან შეხვედრისას სრულიად გაუმართლებლად, უხეშად ითამაშა ვ. ბესონოვმა და არბიტრმა მას მინდორი დაატოვებინა. 10 საბჭოთა ფეხბურთელი რას გააწყობდა 11 არგენტინელთან?

ერთი სიტყვით, საბჭოთა ნაკრების იტალიური ეპოპეა მარცხიანად დასრულდა, ხოლო აქამდე თითქმის უცნობი კამერუნის გუნდი პირველი აღმოჩნდა, რომელიც მერვედფინალში გავიდა. კამერუნელებს, როგორც ვიცით, საბჭოთა სპეციალისტი ვ. ნეპომნიაშჩი წვრთნის. რაღა აფრიკელები ამზადებს დიდი საქმეებისთვის ვ. ნეპომნიაშჩიმ, ხომ არ აჯობებდა ეს კაცი უკანვე მოეწვიათ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელად.

ახლა, 18 ივნისს, საბჭოთა ნაკრები ქალაქ ბარიში ეთამაშება კამერუნების ნაკრებს. ვინ იცის რა მოხდება, კამერუნელები უკვე მერვედფინალში არიან, საბჭოთა გუნდი კი უტოპიურ იმედებს ებღაუჭება...

არგენტინელთა ენთუზიაზმს საზღვარი არა აქვს. ამ თამაშის დამთავრების შემდეგ არგენტინის პრეზიდენტი კარლოს მენემი ტელევიზიით გამოვიდა თანამემამულეთა წინაშე, არგენტინელი ხალხისა და მთავრობის სახელით მიესალმა თავის გუნდს და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ასეთივე დიდმნიშვნელოვანი იყო ამ ჯგუფში კამერუნისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრა, კამერუნელებმა კვლავ ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, ორივე ბურთი თამაშის დასასრულს გაიტანა როჟე მილამ, ეთი ბურთით უპასუხა გავრილ ბალინტმა. კამერუნელმა ფეხბურთელებმა ნამდვილი სენსაცია მოახდინეს მომდინარე მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ პროფესიონალი დამკვირვებლის თვალს არ გამოეპარება, რომ ისინი აშკარა ტაქტიკურ უხეშობას მიმართავენ, საკმარისია რომელიმე მეტოქე ფეხბურთელს სახიფათო პოზიციაში გასვლის შესაძლებლობა მიეცეს და მის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ მიმართავენ აკრძალულ ილეთს.

ამასობაში კი მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდება, იუგოსლავიისა და კოლუმბიის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 1:0. ეს ბურთი გაიტანა იოჟიჩმა, იტალიისა და ამერიკის შეერთებულ შტატების ფეხბურთელთა შეხვედრა. დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით 1:0, გოლი გაიტანა ჯანონიმ. იტალიელები მერვედფინალში გავიდნენ.

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკის გუნდები. თამაში დამთავრდა ჩეხოსლოვაკიელთა გამარჯვებით 1:0.

„ა“ ჯგუფი

იტალია	❁	1:0	1:0	
ავსტრია	0:1	❁		
აშშ	0:1		❁	1:5
ჩეხოსლოვაკია			5:1	❁

„ბ“ ჯგუფი

არგენტინა	❁	0:1	2:0	
კამერუნი	1:0	❁		2:1
სსრ კავშირი	0:2		❁	0:2
რუმინეთი		1:2	2:0	❁

„დ“ ჯგუფი

გერ	❁	4:1		
იუგოსლავია	1:4	❁		1:0
არგ. გნ			❁	0:2
კოლუმბია		0:1	2:0	❁

„ე“ ჯგუფი

ბელგია	❁	2:0		
სამხ. კორეა	0:2	❁		
ურუგვაი			❁	0:0
ესპანეთი			0:0	❁

რა შეიძლება მოხდეს?

ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ არის თუ არა ვარიანტი, რომ საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვოს მერვედფინალში თამაშის უფლება?

ასეთი შესაძლებლობა გუნდს აქვს მაგრამ პერსპექტივა ძალზე სათუოა. ვთქვათ, ჯგუფური ტურნირის ბოლო დღეს არგენტინელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს რუმინეთის გუნდი, ხოლო საბჭოთა ფეხბურთელებმა მოუგეს ლიდერს — კამერუნს, თანაც ანგარიშით 4:0. ამ შემთხვევაში რუმინეთისა და სსრ კავშირის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნებათ — 2:2, მაგრამ რუმინელებს გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი სხვაობა აღმოაჩნდებათ (3-4), საბჭოთა ფეხბურთელებს კი ეს მაჩვენებელი მეტოქეზე უკეთესი ექნებათ — 4 :4.

ეს ვარიანტია ჩვენი ქვეჯგუფისთვის, მაგრამ ქვეჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული 6 გუნდიდან მერვედფინალში ხომ 4 გადის. ექნებათ კი საბჭოთა ფეხბურთელებს უპირატესობა სხვებთან შედარებით, პირველ ოთხეულში რომ მოხვდნენ?

გათამაშების ცხრილი

„ბ“ ჯგუფი

მდგომარეობა 16 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კამერუნი	2	2	0	0	3-1	4
რუმინეთი	2	1	0	1	3-2	2
არგენტინა	2	1	0	1	2-1	2
სსრ კავშირი	2	0	0	2	0-4	0

ცალკეული ნომერი — ნახევარი ფასად

ულან-უდე. ბურიატეთის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი: ასპარეზობაში მონაწილეობს 11 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 57 საერთაშორისო კლასის და 75 სპორტის ოსტატი. არის რამდენიმე სიახლე: ჩემპიონატში მხოლოდ მაღალი საკავშირო რეიტინგის მფლობელები გამოდიან. შეიცვალა ოქრის მედლებისთვის ბრძოლის პრინციპიც. ახალი წესის თანახმად უმაღლესი ტიტულის მოპოვება შეუძლიათ არა მარტო ჯგუფების გამარჯვებულებს, არამედ მეორე ადგილებზე გასულ ათლეტებსაც.

ეს სიახლეები, საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ი. იარიგინის განცხადებით, ხელს შეუწყობს ღირსეულ ჩემპიონთა გამოვლენას.

ჩოგბურთის ამბები

ბირმინჰემი. უიმბლდონის ტურნირის წინ ინგლისში, ტრადიციულად, რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება ეწყობა. ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობაში ლარისა სავჩენკომ სამი წრე დაუმარცხებლად გაიარა. ბოლო შეხვედრაში კი ამერიკელი ლორი მაკნილს აჯობა (6:7, 6:4, 6:3). სამაგიეროდ, მეორე ამერიკელმა ჯიჯი ფერნანდესმა ადვილად მოუგო იტალიელ ლორა გორაცას — 6:3, 6:3.

ვაჟთა ასპარეზობის მეორე წრე ასეთი შედეგებით აღინიშნა: ჯონ მაკენიროუ (აშშ) — რამეშ კრიშნანი (ინდოეთი) 4:6, 6:4, 6:2 გი ფორეგე (საფრანგეთი) — გრანტ კონელი (კანადა) 7:6, 6:4, კრისტო ვან რენსბურგი (სამხრეთ აფრიკა) — დარენ კეჰილი (ავსტრალია) 6:3, 7:6, პიტ სემპერსი (აშშ) — მარკ კაპლანი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:4.

ფლორენცია. აქ მიმდინარე ტურნირის მეორე წრეში ესპანელმა ხავიერ სანჩესმა თანამემამულე ფრანსისკო კლავეტა დაამარცხა 7:6, 6:0.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

20 ივნისს, 12 საათზე თბილისის ეროვნული სტადიონის ოსტატ ფეხბურთელთა კლუბში ჩატარდება ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების გაფართოებული საბჭოს სხდომა.

ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანება.

ველოსპორტი — ველოსიპედი



ჰერა (გდრ). აქ მიმდინარე ცხენოსანთა ტურნირში დაბრკოლებებით შეჯიბრება მოიგო მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა ალფონს კლეპერმა, რომელსაც საჯარიმო ქულები არ მიუღია, დისტანცია კი ყველაზე სწრაფად გაიარა.

სტოკჰოლმი. ტრადიციული ველორბოლა შვეიცის გზებზე წარმატებით დაიწყო ჰოლანდიელმა იელე ნიიდამმა. 3,7 კილომეტრიან პროლოგში მან კარგ დრო — 4.23,5 აჩვენა. პირველ ეტაპზე გამარჯვება კი შვეიცარიელ ჰანს კინდერგს დარჩა. პროლოგისა და პირველი ეტაპის შემდეგ დაწინაურდა ჰოლანდიელი ფრანკ მასენი.

მუნიხი. ესპანეთის ამ ქალაქში გამართული მოჭადრაკეთა ტრადიციული ტურნირი ოდესელმა ვლადიმერ ტუკმაკოვმა მოიგო — 10,5 ქულა. მეორე ადგილი ზლენკო კოუტლს (იუგოსლავია) ერგო — 10 ქულა,მესამე — საბჭოთა მოჭადრაკეებმა ალექსანდრე ჩერნინმა და ალექსანდრე გოლდინმა (9,5-9,5 ქულა) გაიყვეს.

პარიზი. „მიდი ლიბერის“ ველორბოლის მეორე ეტაპზე წარმატებას ფრანგმა ვინსენ ბარტომ მიაღწია. 185 კილომეტრი მან 4:54.00-ში დაფარა.

რეტრო

ორგზის ჩემპიონი

პირველი მსოფლიო ჩემპიონატების მაგალითმა ცხადყო, რომ გამარჯვების ქალღმერთი ნიკე მხოლოდ მასპინძლების გუნდს სწყალობდა. ამიტომ ჩემპიონატის ორგანიზაციის უფლების მოპოვება, სანახევროდ, გამარჯვებას ნიშნავდა. მესამე ჩემპიონატმა ეს ტრადიცია დაარღვია.

ფიფა-ს ხელმძღვანელობამ გონივრულობა გამოიჩინა. როცა უარყო ფაშისტური ბერლინის კანდიდატურა და ტურნირის მოწყობა საფრანგეთს დაიკისრა. მაგრამ იმ აფორიაქებულ, კონფლიქტებით სავსე პერიოდში ვერც მესამე ჩემპიონატი გამოდგა ორგანიზაციულად სრულყოფილი. ურუგვაელთა ბოიკოტი (მეორე ჩემპიონატში მონაწილეობაზე მათ კატეგორიული უარი განაცხადეს) უკვე გამაღიზიანებელ ფორმას იღებდა. ინგლისი უნდობლად იყო განწყობილი მეზობლების მიმართ, არგენტინამ კი სულ ბოლო მომენტში თქვა უარი ევროპაში ჩამოსვლაზე.

კენესყრის შემდეგ გაირკვა, რომ საფრანგეთში ვერც ავსტრიის გუნდი ჩავიდოდა. ცენტრალური ევროპის ეს მცირე, მაგრამ სოლიდური საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანა ფაშისტური „ანშლიუსის“ მსხვერპლი გახდა და რამდენიმე დღეში გაქრა მსოფლიოს რუკაზე.

ტურნირი რასისტული თეორიის კრახით დაიწყო. წმინდა არიელებისაგან შემდგარმა გერმანიის გუნდმა, რომელსაც სახელდახელოდ რამდენიმე ექსტრაკლასის ავსტრიელი ფეხბურთელი დაუმატეს, მოუულოდნელი მარცხი განიცადა შვეიცარიელებთან შეხვედრაში. გერმანიაში ეს ამბავი ისე მტკივნეულად განიცადეს, რომ მეორე დღესვე ნაკრები უკან გაიწვიეს.

გამარჯვება და ოქროს ქალღმერთი ამჯერადაც იტალიას დარჩა, რომელმაც ფინალში უნგრეთის გუნდი დაამარცხა — 4:2. მაგრამ იმდროინდელი პრესის განმარტებით უნგრეთსაც გამარჯვების არანაკლები მორალური უფლება ჰქონდა.

სურათზე: 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონი იტალიის ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი. დგანან — ფონი, ოქროს ქალღმერთით ხელში — იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი ვ. პოცო, ოლივიერი, რავა და სერანტონი.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სიოუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 22-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.432.777 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (86) მოგება 499 მანეთია, ოთხისთვის (2.258) — 28, სამისთვის (37.525) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 35.905 ვარიანტი. 6-0, 5-3, 4-68, 3-938.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15.046.209 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (43) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.239) — 126, სამისთვის (173.339) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 437.915 ვარიანტი. 5-0, 4-134, 3-4.514.

22-ე და 13-22 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 23 ივნისიდან 23 ივლისის ჩათვლით.



თბილისის ეროვნული სტადიონი

ა. წერეთლის გამზირი № 2. ✆

ფეხბურთი ● 16 და 20 ივნისი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

16 ივნისი

„იბერია“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)

20 ივნისი

„იბერია“ (თბილისი) — „ბურია“ (ლანჩხუთი)

მატჩების დასაწყისი 20 საათზე

მატჩებზე დასასწრები ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 16 ივნისის მატჩზე 14, 15 და 16 ივნისს. 20 ივნისის მატჩზე 18, 19 და 20 ივნისს 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

5 ივნისით დათარიღებული სტადიონზე შესასვლელი ბილეთები ძალაშია 20 ივნისის მატჩზე.

1 ივნისით დათარიღებული სტადიონზე შესასვლელი და ლატარიის 9 ტირაჟის ბილეთები ძალაშია 16 ივნისის მატჩზე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები მ. ძაძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779